თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

გოგი წულაია:

„დღევანდელი მთავრობა ატყავებს თავის მოსახლეობას!“

ღონისძებები, რომელიც გატარდა ტყიბულში, ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად

მე-3 გვერდზე

№11 (773) 25 სექტემბერი - 1 ოქტომბერი, 2017 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

მამაქალაქის მერობის კანდიდატები მხოლოდ მამაკაცები არიან

ქუთაისის მერობის მსურველებმა უკვე ოფიციალურად დაადასტურეს, რომ მამაქალაქის თავკაცობა სურთ. საოლქო საარჩევნო კომისიაში კანდიდატად 10 პირი დარეგისტრირდა, ათივე მამაკაცი და არცერთი ქალბატონი.

გიორგი ჭიღვარია

გრიგოლ ვაშაძე

დავით გოგისვანიძე

სამსონ გუგავა

გოგი წულაია

ალუდა გოგლიჩიძე

გრიგოლ ბახტაძე

ზვიად ბაღდავაძე

ქუთაისელები წარდგენილი კანდიდატებიდან რამდენიმეს იცნობენ, ზოგიერთი მათგანის ბანერები უკვე გამოჩნდა ქალაქის ქუჩებში, ზოგიც საზეიმო და ხალხმრავალი წარდგენებიდან დაამახსოვრდათ, ზოგიც - ენამოსწრებული და იუმორით გაჯერებული სამოქალაქო აქტივიზმით. თუმცა, ეს ფრაგმენტული ,,ნაცნობობაა“. ამომრჩეველი უფრო მათ პარტიულ კუთვნილებას იცნობს, ვიდრე - განვლილ გზას და ბიოგრაფიას.

მმართველი პარტიის ქართული ოცნების მერობის კანდიდატი **გიორგი ჭიღვარიაა.** პოლიტიკურ სფეროში არაერთი სამეცნიერო სტატიისა და ნაშრომის ავტორი პრაქტიკულ პოლიტიკაში ბოლო წლებში გადავიდა. 37 წლის თურქოლოგისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, გიორგი ჭიღვარიას სახელი „ქართულ ოცნებას“ 2014 წლიდან უკავშირდება. ამჟამადაც ქუთაისის საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარეა. იყო ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი, საპარლამენტო არჩევნების დროს - საარჩევნო შტაბის უფროსი, ბოლო დრომდე იყო სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის მოადგილე იმერეთის მხარეში.

ნაციონალური მოძრაობამ ქუთაისში მაღალი მასტის კარტებით - კანდიდატებით, თამაში გადაწყვიტა. გამოცდილი პოლიტიკოსი **გრიგოლ ვაშაძე** ამომრჩევლის გულის მოსაგებად წარსულის გამოცდილებას – დიპლომატიურ ხერხებს გამოიყენებს. ვაშაძე ძირითადად რუსეთში მოღვაწეობდა, სააკაშვილის ხელისუფლებაში ხან საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძვანელობდა, ხან კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. 2017 წლიდან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრი გახდა.

ექიმი დავით გოგისვანიძე, რომელიც 2006 წლიდან საკრებულოს ნაციონალური მოძრაობის მარადიული დეპუტატი იყო, ამჯერად ქუთაისის მერობისთვის ნაციონალებიდან გამოყოფილი, ახლად დაარსებული **პარტიის ,,ევროპული საქართველოს“** სახელით იბრძოლებს.

არჩევანის შემთხვევაში, **გუგავა მარტო თბილისში არ მოვა,** ქუთაისსაც თავისი გუგავა ჰყავს – **სამსონ გუგავა,** რომელიც მერობისთვის **ლეიბორისტული პარტიის** სახელით იბროლებს. გუგავას საკრებულოში დეპუტატობისა და ადგილობრივ დონეზე პოლიტიკოსობის ლეიბორისტული გამოცდილება აქვს.

ფრთიანი გამოთქმებითა და სატირული სამოქალაქო აქტივიზმით ცნობილი, ორი მოწვევის პარლამენტის დეპუტატი **გოგი წულაია,** ქუთაისში საარჩევნო ბლოკის "**დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახაკუკავა, დემოკრატიული მოძრაობა თავისუფალი საქართველო**" – მერობის კანდიდატი იქნება;

,,შენების მოძრაობა“ ქუთაისის აშენებას განათლების ექსპერტს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მინისტრის ყოფილ მოადგილეს, **ალუდა გოგლიჩიძეს** ანდობს;

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ქუთაისის მერის სტატუსის მოსაპოვებლად "**პატრიოტთა ალიანსიდან**" ქალაქის მაჟორიტარობის ყოფილი კანდიდატი **გია ბახტაძე** იბრძოლებს.

ასევე ყოფილი კანდიდატი **ზვიად ბაღდავაძე** იბრძოლებს საარჩევნო ბლოკი "გიორგი ვაშაძე-ერთობა ახალი საქართველო"-ს სახელით. ხოლო ახალი **ქრისტიან–დემოკრატების** კანდიდატი **გიორგი გოგელაშვილია. ტრადიციონალისტების** კანდიდატი კი **აკაკი ლოლომაძეა,** რომლის მონაცემთა გადამოწმებას საოლქო საარჩევნო კომისიას ჯერჯ ერობით არ დაუსრულებია.

მაკა ჩინიჯიშვილი

მედიასახლი
P.S. („პოსტსკრიპტუმი“)

გამოიწვევს თუ არა ინტერესთა კონფლიქტს ახალი კანონი

სეციალისტები და ექსპერტები, ხანძრების სიხშირიდან გამომდინარე, აქტიურად საუბრობენ ტყის მართვის კუთხით არსებულ ხარვეზებზე. ევროკავშირთან აღებული ვალდებულება სატყეო რეფორმას ითვალისწინებს, შესაბამისად, გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლების და სპეციალისტების ჩართულობით ტყის კოდექსზე მუშაობა მიმდინარეობს. ასოცირების შეთანხმების ნაწილი ტყის მდგრადი მართვის დანერგვისკენ მოგვიწოდებს, რაც გაიწერა კიდეც ახალ კანონპროექტში. კანონპროექტზე მუშაობა 2014/15 წლებში დაიწყო. პარლამენტში კანონპროექტი ოფიციალურად გადაგზავნილი არ ყოფილა, მისი წარდგენა მიმდინარე წლის შემოდგომაზეა დაგეგმილი. კანონპროექტის შესახებ P.S.-ის კითხვებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი **კარლო ამირგულაშვილი** პასუხობს.

– ბატონო კარლო, ტყის ახალი კოდექსის ვერსია მართვის ახალ სტანდარტებს სთავაზობს სახელმწიფოს, რომელიც ადგილობრივ და უცხოელ ექსპერტებთან ერთად მიიღეს. მათ შორის, კოდექსში მნიშვნელოვანია ე.წ. სოციალური ჭრების გაუქმების საკითხი. რას ითვალისწინებს სოციალური ჭრების გაუქმება და რა ალტერნატიულ გზას სთავაზობს სახელმწიფო მოსახლეობას?

– კანონპროექტით მკვიდრდება ტყის ახლებური განმარტება, რომელიც მისადაგებულია FAO-ს ტყის განმარტებასთან და ეროვნულ სინამდვილესთან. ახალი ტყის კოდექსი მიზნად ისახავს მდგრადი სატყეო მეურნეობის ჩამოყალიბებას, სოციალური ჭრის ეტაპობრივად გაუქმებას და ტყის მრავალფუნქციური სარგებლობის დანერგვას და ამ პროცესში პროფესიონალი კადრების სავალდებულო მონაწილეობას. უნდა შეიქმნას სატყეო მეურნეობის ფუნქციით აღჭურვილი ინსტიტუცია, რომელიც პროფესიული კადრების მონაწილეობით და ტყის ინვენტარიზაციაზე დაყრდნობით მოახდენს სატყეო სამეურნეო და ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას. პარალელურად უნდა შემუშავდეს და დაინერგოს ალტერნატიული და ხელმისაწვდომი საწვავი საშუალებებით შემით მოხმარების შემცირება (იგეგმება სახელმწიფო პროგრამის შემუშავება).

– საქართველოს ტყეებს დღემდე აქვთ ენერგეტიკული დანიშნულება. ხომ არ არის ინტერესთა კომფლიქტი ენერგეტიკის და ეკონომიკის სამინისტროებთან ტყის ახალი კოდექსის ამ ვერსიის მიღების შემთხვევაში?

– ვერ ვხედავ ინტერესთა კომნფლიქტს სხვა სამინისტროებთან, პირიქით, ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ენერგეტიკისა და სხვა სამინისტროებთან ალტერნატიული საწვავი საშუალებების დანერგვის მიმართულებით.

გაგრძელება **მე-3 გვერდზე**

PS news.ge

ISSN 1987-7056

9 771987 705004

წინასაარჩევნო ამბები - 2017

გასული კვირის ქრონიკა

ცესკომ 4 პარტიას რეგისტრაციაზე უარი უთხრა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საარჩევნო სუბიექტად დარეგიტრირებაზე 4 პარტიას უარი უთხრა.
ეს პარტიებია: "საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პარტია", ახალი პოლიტიკური გაერთიანება - "გირჩი", "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" და „საქართველოს კომუნისტურიპარტიას".
მათ შორის, ბოლო ორმა პარტიამ რეგისტრაციის გაუქმება თავად მოითხოვა. "გირჩს" ცესკომ უარი ხარვეზის გასწორების მიზნით მხარდამჭერთა სიების არმიწოდების გამო უთხრა, ხოლო "საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პარტიიდან" კი, საარჩევნო ადმინისტრაციაში განაცხადი რეგისტრაციაზე არაუფლებამოსილმა პირმა შეიტანა., რის გამოც მათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მიეცათ.
ცესკომ საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია უკვე დაასრულა. 21 სექტემბრს კი ასევე, ამოიწურა პოლიტიკური პარტიების პროპორციული სიების წარდგენის ვადაც. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2017 წლის 21 ოქტომბერს ჩატარდება.

***

"თავისუფალი საქართველო" და "თავისუფალი დემოკრატების" გაერთიანებულმა პარტიამ, ქუთაისის მერობის კანდიდატის წარდგენასთან ერთად, საკრებულოს პროპორციულ სიის კანდიდატები დაასახელეს. სიის პირველი ათეული ასე გამოიყურება:

გიორგი წულაია
ნინო ჯინჭარაძე
ნუგზარ გელენიძე
ვეფხია მიქაუტაძე
ლევან გოცაძე
ნინო დოლიძე
თენგიზ ხვადაგიანი
თამთა ფხაკაძე
გაგა ვაშაყმაძე
ოთარ ხმელიძე

"სიის ყველა წევრი მათი დამხსახურების და ღირსების მიხედვით შეირჩა, რომლებიც მუდმივად იზრუნებენ ქუთაისის განვითარებაზე," - განაცხადა წარდგენაზე ქუთაისის მერობის კანდიდატმა გოგი წულაიამ.

***

"ნაციონალურ მოძრაობას" ქუთაისის საკრებულოს პროპორციულ სიაში 31 კანდიდატი ჰყავს. სიის პირველი ათეული ასე გამოიყურება:

ბესიკ ბრეგაძე
გია უკლება
ვლადიმერ კლდიაშვილი
გრიგოლ შუშანია
მამუკა ირემაძე
ირაკლი ქანთარია
რომან ქვაჩაკიძე
ხათუნა არველაძე
ქეთევან ხურციძე
ლელა ჯოჯუა

ნატო ქათამაძე: „ამ არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებ“

ქუთაისის საკრებულოს წევრმა ნატო ქათამაძემ ბრიფინგი გამართა. მან მედიისა და არასმთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან საკრებულოში გაწული საქმიანობა შეაჯამა,ასევე თავის სამომავლო პოლიტიკურ გეგმებზეც ისაუბრა.

ნატო ქათამაძე

ქათამაძის განცხადებით, მან მერიაში ახალი სტანდარტი დაამკვიდრა,რადგან ერთნაირად კრიტიკული იყო ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიმართ,რაც აქამდე არავის გაუკეთებია.
ქათამაძემ რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა გაიხსენა, რომელიც მის საკრებულოს საქმიანობას უკავშირდება. მაგალითად - უსახლკაროებისთვის საცხოვრებელი ფართების გადაცემის ინიციატივა; მდინარე ოღასკურას პროექტის შემუშავებაში შეტანილი წვლილი; ბუხაიძეზე მაღალსართულიანი კორპუსის მშენებლობის შეჩერება; ფლამინგოს დემონტაჟის გაპროტესტება; ჯავახიშვილზე ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობის შეჩერება; რამდენიმი შეჭივრებული ადამიანისთვის და ოჯახისთვის გადაუდებელი ფინანსური დახმარების გაწევა და ასე შემდეგ.
„საკრებულოში მოღვაწეობის პერიოდში არცერთი თეთრი ხელფასი არ ამიღია,არ მქონია სამუშაო ტექნიკა -პრინტერი და კომპიუტერი," — განაცხადა ნატო ქათამაძემ
ბრიფინგის მეორე ნაწილ ნატო ქათამაძემ თავის პოლიტიკურ გეგმებზე საუბარს დაუთმო:
„14 წელია პოლიტიკაში ვარ, ამ ხნის განმავლობაში 8-ჯერ ჩატარდა არჩევნები. ყველა მათგანში აქტიურად ვიყავი ჩართული. 13 წელი ვიყავი „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი. ამ ეტაპზე ვარ დამოუკიდებელი კანდიდატი.
მე ამ არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებ,თუმცა ვრჩები აქტიურ პოლიტიკაში. წელს გარედან დავაკვირდები პოლიტიკურ პროცესებს და გავაკეთებ ობიექტურ შეფასებებს. მას შემდეგ, რაც საკრებულოში ჩემი მანდატი ამოიწურება, მე კვლავ შეგხვდებით და გაგაცნობთ ჩემს სამომავლო ამბიციურ პოლიტიკურ გეგმებს," — განაცხადა ნატო ქათამაძემ.

ლიკა დევდარიანი

გოგი წულაია: „დღევანდელი მთავრობა ატყავებს თავის მოსახლეობას!“

ქუთაისში ბუნებრივი აირის გაძვირებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის შენობასთან გამაფრთხილებელი აქცია გაიმართა. აქციის ორგანიზატორი იყო ბლოკი „გაერთიანებული დემოკრატები,თავისუფალი საქართველო“-ს მერობის კანდიდატი გოგი წულაია.

„მოვუწოდებთ ხელისუფლებას, დაინიშნოს მიუკერძოებელი აუდიტი, რომელიც შეამოწმებს და გვეტყვის, არის თუ არა ეს ფასი რეალური. დღევანდელი მთავრობა ატყავებს თავის მოსახლეობას. ჩვენ განცდა გვაქვს, რომ ეს არის კორუფციული მთავრობის წევრების გაუმაძღარი გემოვნების დასაკმაყოფილებელი ტარიფი. მინდა გავაფრთხილო საზოგადოება, თუ ჩვენ ახლა არ დავანახებთ ხელისუფლებას ჩვენს ძალას, ძალიან მალე გაძვირდება დენი და წყალი. უკვე შეტანილია სემეკში განცხადება გაძვირების შესახებ.“ - განაცხადა გოგი წულაიამ.
პარტია „თავისუფალი საქართველო“ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მოსახლეობაში ხელმოწერებს აგროვებს და როგორც გოგი წულაიამ განაცხადა, როდესაც ხელმოწერების რაოდენობა 30 000-ს მიაღწევს, კიდევ ერთ აქციას გამართავენ.
შეგახსენებთ, გაზის ტარიფი რეგიონებში გაძვირდა 30%-ით (რეგიონებში - 11-12 თეთრით, ხოლო თბილისში - 0,5 თეთრით).

ლიკა დევდარიანი

აქციაზე

კახეთში მევენახეების შემოსავლებმა 81,5 მლნ ლარს მიაღწია

რთველი 2017-ის სეზონზე, კახეთის რეგიონის მევენახეების მიერ ღვინის კომპანიებში ყურძნის რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 81,5 მლნ ლარს მიაღწია.

22 სექტემბრის 10.00 საათის მონაცემებით, კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 70 ათასამდე ტონა ყურძენი. აქედან, 31,3 ათასი ტონა რქაწითელი, 34 ათასი ტონა საფერავი, 2,2 ათასი ტონა კახური მწვანე, დანარჩენი კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.
დღეისთვის ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩართულია 90-მდე ღვინის კომპანია. სულ რთველის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირებულია 200-მდე ღვინის კომპანია.
დღეღამური გადამუშავების მაჩვენებელმა 4,8 ათას ტონას აღწევს, რაც ნიშნავს რომ რთველი კახეთში კვლავ ქტიურ ფაზაშია და ყურძნის გადამუშავება შეფერხების გარეშე მიმდინარეობს.
გადამუშავებული ყურძნის რაოდენობით მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგი მდგომარეობაა: ყვარელი - 24,5ათასი ტონა, გურჯაანი - 18,2 ათასი ტონა, თელავი - 11,1 ათასი ტონა, სიღნაღი - 8,1 ათასი ტონა, ლაგოდეხი - 2,4 ათასი ტონა, დედოფლისწყარო - 2,1 ათასი ტონა, ახმეტა - 1.6 ათასი ტონა და საგარეჯო - 1,4 ათასი ტონა.
მეღვინეობის დარგის არსებული მდგომარეობის (ღვინის ექსპორტის ზრდა, საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია, გაფართოებული ღვინის საწარმოები, იაფი აგროკრედიტებისა და აგროდაზღვევის განვითარებული სისტემა) და ყურძნის შესყიდვაზე კერძო სექტორის მხრიდან მოთხოვნილების ზრდის გათვალისწინებით, კახეთის რეგიონში 2017 წლის რთველზე ყურძენზე სუბსიდია აღარ გაიცემა. ამასთან ერთად, ბრენდის წარმოების განვითარების ხელშესაწყობად, ღვინის კომპანიები, რომლებიც საბრენდე სპირტისა და კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის წარმოების მიზნით რქაწითელსა და კახური მწვანის ჯიშის 1 კგ ყურძენს არანაკლებ 70 თეთრად შეისყიდიან, სახელმწიფოსგან კომპენსაციის სახით 35 თეთრს მიიღებენ.

სოხუმის დაცემის დღეს ბოლნისელები 14 უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომარს გაიხსენებენ

მომდინარე წლის 27 სექტემბერს 18.00 საათზე, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით ქალაქ ბოლნისში ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“-ს მიერ იგეგმება კულტურული ღონისძიება და წიგნის „გელოდები“-ს პრეზენტაცია, რომელიც ეძღვნება 14 უგზოუკვლოდ დაკარგულ ბოლნისელ მეომარ ვაჟკაცს.
ღონისძიებაში მონაწილეობას იღებენ: ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასთან არსებული თეატრალური დასი „LIBERTA“ სპექტაკლით „ბოდიში, რომ ცოცხალი ვარ“ და „ARTerIA“ - დღესასწაულების რეჟისურა და ორგანიზება.
წიგნისა და პროექტის ავტორია ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“-ს PR მენეჯერი ეთერ ჩუმაშვილი.

ღონისძიებები, რომელიც გატარდა ტყიბულში, ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად

2018-2021 წლებში მმართველი გუნდი სოციალური დახმარების სისტემის დასახვეწად კიდევ უფრო მეტი სპეციალური ღონისძიებების გატარებას გეგმავს.

მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება „ქართული ოცნების" ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემოღების შემდეგ, 2013 წლიდან, საქართველოში ჯანდაცვის ბიუჯეტი 2,5-ჯერგაიზარდა, რამაც ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ფუნდამენტურად გაზარდა. პროგრამის ფარგლებში 2,4 მლნ-ზე მეტი შემთხვევა დაფინანსდა;

C-ჰეპატიტის ელიმინაციის უპრეცედენტო პროგრამაში 36,5 ათასზე მეტი ადამიანი ჩაერთო, რომელთაგან 29 ათასამდე პაციენტმა მკურნალობის კურსი წარმატებით დაასრულა; მთავრობის მიერ შექმნილი „სოლიდარობის ფონდის" წარმატებული საქმიანობის შედეგად სიმსივნით დაავადებული 379 ბავშვი და ახალგაზრდა განიკურნა.

ტყიბულში მხოლოდ 2016 წელს, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, 2704-მა ადამიანმა ისარგებლა, რაზეც 559 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა. იმავე წელს, მშობიარობა და საკეისრო კვეთა დაუფინანსდა 22 პაციენტს, გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებით 2 290-მა, დედათა და ბავშვთა პროგრამით კი 87-მა პაციენტმა ისარგებლა.

2016 წელს, 2013 წელთან შედარებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების მიმღებთა რაოდენობა 10-ჯერ, სახელმწიფო დაფინანსებაკი 13-ჯერ გაიზარდა: თუ 2013 წელს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანდაცვითი პრობლემების მოსაგვარებლადმხოლოდ 42 ათასი ლარი დაიხარჯა, 2016 წელს ამ ხარჯებმა 559 ათასი ლარი შეადგინა.

2012 წლის შემდეგ, საქართველოში, სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების დაფინანსება 62%-ით გაიზარდა. ტყიბულის მუნიციპალიტეტში: პენსიებზე გაწეული ხარჯი - 7,7 მლნ-დან 11,9 მლნ ლარამდე, შშმ პირთა პენსიებზე გაწეული ხარჯი - 924 ათასი ლარიდან 1,3 მლნ ლარამდე, შშმ პირების პენსიის მიმღებ ბავშვებზე გაწეული ხარჯი - 40 ათასიდან 130,5 ათას ლარამდე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის და კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლებში დაღუპულ პირთა ოჯახის წევრების სოციალურ თანადგომაზე გაწეული ხარჯი კი 83,6 ათასიდან 178,5 ათას ლარამდე გაიზარდა.

სულ სოციალური მიმართულების ხარჯები 4,6 მლნ ლარით ანუ 10 მლნ-დან 14,6 მლნ-მდე გაიზარდა. 2012 წლის შემდეგ მუნიციპალიტეტში საარსებო შემწეობის საშუალო ოდენობა 302-დან 489 ლარამდე გაიზარდა.

ხელისუფლებამ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, 2015-2016 წლებში, ტყიბულში 3 საცხოვრებელი ობიექტი შეისყიდა, 108 ასეთ ოჯახს კი საცხოვრებელი ფართობები საკუთრებაში გადასცა. 2013 წელს 2 საცხოვრებელი ობიექტი ეკომიგრანტებს გადაეცათ საკუთრებაში, 2014 წელს კი 35 საცხოვრებელ ობიექტს ჩაუტარდა რეაბილიტაცია.

მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ მომავალში ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის ბიუჯეტი გაიზრდება, პროგრამებიკიუფრო მიზნობრივი გახდება.

ექსკლუზივი

გამოიწვევს თუ არა ინტერესთა კონფლიქტს ახალი კანონი

პირველი გვერდიდან

– კოდექსში არის და რჩება ტერმინი „საპატრიარქოს ტყეები", რას ითვალისწინებს ეს, რამდენად არის სამართლებრივად მიღებული ეს პრაქტიკა - ტყეები ეკუთვნოდეს საპატრიარქოს. რამდენად დამოუკედებელია საპატრიარქო მართვის პროცესში? ხომ არ ქმნის ეს იმის ალბათობას, რომ საპატრიარქოს ტყეები მეტი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ? ან იტოვებს თუ არა სახელმწიფო რაიმე ბერკეტს ამ ტყეების განკარგვის უფლებით?

– ევროპის ბევრ ქვეყანაში ეკლესიები მართავენ ან საკუთრებაში აქვთ ტყეები და ეს მიღებული პრაქტიკაა. დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საპატრიარქოს ე.წ. მიჩენის წესით (ხელშეკრულებით) სხვადასხვა ეკლესიასა და მონასტრის გარშემო გადაცემული აქვს დაახლოებით 1600 ჰა ტყე. ვფიქრობთ, მოთხოვნის შემთხვევაში, სახელმწიფო ტყის ეს ნაწილი, რომლითაც საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - საქართველოს საპატრიარქო სარგებლობს მიჩენის წესით, შესაძლებელია სამინისტროს დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს მას. აღნიშნულის საფუძველს ქონების მოქმედი კანონმდებლობა და კონსტიტუციური შეთანხმება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის" ამყარებს. მთავარი არის ის, რომ ტყის მართვის, სარგებლობის, დაცვისა და აღდგენის საერთო წესები ყველა მესაკუთრესთვის ერთიანი იყოს, მათ შორის — ეკლესიისთვისაც. კანონპროექტის ამჟამინდელ სამუშაო ვერსიაში ე.წ. „საპატრიარქოს ტყეები" ამ ფორმით მოხსენიებული არ არის. სახელმწიფო ზედამხედველობა ტყეზე ზემოხსენებულის შემთხვევაში, რჩება სახელმწიფოს უფლებად და მოვალეობად. აღნიშნულ საკითხზე კვლავაც მიმდინარეობს მსჯელობა.

– რას ნიშნავს ტყის სწორი მართვა და რამდენად არის ის ორიენტირებული საქართველოს ტყეების აღდგენაზე? ახალი კანონი ხომ არ ითვალისწინებს ცვლილებას „სიმწიფის ასაკთან" დაკავშირებით?

– ტყის მართვა არ მოიაზრებს მხოლოდ აღდგენას, არამედ ეს არის კომპლექსური ღონისძიება, რომელიც მოიცავს ინვენტარიზაციას, ჭრას, აღდგენას, მოვლას, ხანძრების პრევენციას, მავნებელ დაავადებებთან ბრძოლას, ტყეების სათანადო მართვას მათი ფუნქციური დანიშნულების მიხედვით და სხვა. სწორედ ეს საკითხებია გაწერილი ახალ კანონპროექტში. კანონპროექტის შემუშავების დროს გავითვალისწინეთ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოში არსებული რეალობა. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ტყეების 98% ბუნებრივი წარმოშობის ტყეებია, რომელთა დიდი ნაწილი მთის მაღალი დახრილობის კალთებზეა განფენილი, ამიტომ ტყეების მოვლისა და აღდგენის მიმართულებით განსაკუთრებული სიფრთხილით შემუშავდა მთელი რიგი დათქმები. რა თქმა უნდა, კანონპროექტს უნდა მოჰყვეს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, სადაც ტყეების სარგებლობის, ინვენტარიზაციის, დაცვის, მოვლისა და აღდგენის საკითხები დეტალურად გაიწერება, თუმცა ჩარჩო ზემოხსენებული კანონქვემდებარე აქტებისათვის კანონპროექტში მაქსიმალურად გაიწერა. საგულისხმოა, რომ კანონპროექტი აღარ მოიაზრებს ხე-ტყის გრძელვადიანი ლიცენცირების პრაქტიკის გაგრძელებას, და როგორც ზემოთ აღვნიშნე, აფუძნებს სატყეო მეურნეობებს. იმისგან განურჩევლად, თუ ვინ იქნება ტყის მესაკუთრე, კანონში მოცემული მუხლების აღსრულება ყველასთვის სავალდებულო იქნება.

– ტყის ახალი კოდექსი ტყეების მულტიფუნქციური გამოყენებისკენ არის მიმართული, რას ნიშნავს ეს და, სავარაუდოდ, რომელ ტერიტორიებზეა შესაძლებელი, რომ ტყეებს მულტიფუნქციური ტყეების სტატუსი მიენიჭოს?

– კანონპროექტით ინერგება 4 ტყის კატეგორია (დაცული, დაცვითი, სარეკრეაციო და სამეურნეო). მულტიფუნქციურობა თითოეულ ამ კატეგორიაში და ყველა ოთხში ერთნაირადაც შეიძლება განხორციელდეს. ტყეებისათვის სტატუსის მინიჭება მოხდება ტყის ინვენტარიზაციის პროცესში ეტაპობრივად, ტყეების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

კარლო ამირგულაშვილი

– DCFTA-ის სამოქმედო გეგმაში გაწერილია ტყის რეფორმა. სამუშაო ვერსია, ფაქტობრივად, მზად არის. პროცედურულად რა ეტაპებია გასავლელი, რომ პარლამენტმა კოდექსი მიიღოს და საშემოდგომო სესიებზე მისი მიღების შემთხვევაში, როდიდან დაიწყება მისი ამოქმედება?

– რეფორმის და კოდექსის საკითხები გაწერილია DCFTA-ის სამოქმედო გეგმაში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შიდაუწყებრივი განხილვა და როგორც დასრულდება, კანონპროექტის საბოლოო საჯარო განხილვა გაიმართება, რის შემდეგაც გადაიგზავნება საქართველოს მთავრობაში. კანონპროექტი შეტანილია საშემოდგომო სესიისთვის გადასაგზავნ დოკუმენტთა ნუსხაშიც. დღეის მდგომარეობით კანონპროექტის ძირითადი ნაწილის ამოქმედება დაგეგმილია 2018 წლის 1 იანვრიდან.

მარიკა ვაჭარაძე

13 სასტიკი წესი ქალებისთვის – ცნობილი პოლიტიკოსისა და პუბლიცისტისგან, ირინა ხაკამადასგან

1. მთავარია, ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრო: პრინცი თეთრ რაშზე - ეს წმინდა წყლის გამოგონებაა. არავინ არ არის ვალდებული გაგხადოს ბედნიერი და დაგიცვას ბედის ყველა უკეღმართობისგან. დროთა განმავლობაში მამაკაცს უბრალოდ მობეზრდება ცხოვრებაზე შენი წუწუნის მძიმე ჩემოდნის თრევა. იმისათვის რომ აცდე მიგდებული ჩემოდნის მწარე ხვედრს, კონცენტრირება უნდა მოახდინო არა მამაკაცის ძებნაზე, არამედ საკუთარი ოცნების რეალიზაციაზე.

2. სამურაები მისდევენ ასეთ ფილოსოფიურ პრინციპს: მოკვდნენ წინასწარ. ეს როგორ პარადოქსალურადაც არ უნდა ჟღერდეს, სასიცოცხლო ბრძოლაში იმარჯვებს ის სამურაი, რომელიც უკვე მკვდარია. უბრალოდ დეტალებში მოიფიქრე იმ სიტუაციის უარესი სცენარი, რომელიც არ გასვენებს ამ მომენტში. და წარმოიდგინე, რა იქნება ამის შემდეგ. აღწერე საკუთარი ნაბიჯები დამარცხების შემდეგ. მერე კი, როგორც ფილმში, გონებაში გადაახვიე ფირი პირველი კადრისკენ. ერთი-ორი - და შენ უკვე არაფრის არ გეშინია. შეგიძლია თამამად ჩაერთო ბრძოლაში!

3. როცა მეუბნებიან: „სულელი ხარ“, მე ვპასუხობ: „კი, გეთანხმები“. თავად კი მივდივარ და ვაკეთებ იმას, რასაც საჭიროდ ვთვლი. არასოდეს არაფერი არ ამტკიცოთ. არავის შეეჯიბროთ, მითუმეტეს მამაკაცების კოლექტივში. ეს კარგად არ დამთავრდება.

4. იმისათვის რომ ნებისმიერ ადამიანთან დაამყარო ჰარმონიული ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა საჭიროა მოიპოვო ჰარმონია საკუთარ თავთან და შეიყვარო საკუთარი თავი.

5. რა გააკეთოთ? - მე გეტყვით. ისწავლეთ ოცნება, დაისახეთ მაღალი მიზნები და განახორციელეთ. და თუ შეძლებთ იპოვოთ და განავითაროთ საკუთარ თავში ეს ენერგია, აღარ დაგჭირდებათ არანაირი ძალ-ღონე, ყველაფერი აეწყობა თავისთავად - ოცნებებიც, კარიერაც, და სიყვარულიც.

6. ქალი-რაკეტას, ანუ მას, რომელიც მიჰქრის წინ და განასახიერებს საკუთარ მიზნებსა და ოცნებებს, ჭკვიანი მამაკაცი აუცილებლად შეაფასებს ღირსეულად. ასეთ ქალში ყოველთვის არის, რაც უნდა გამოიცნო. და ეს აღაგზნებს...

7. ქალი, რომელსაც შეუძლია ჰარმონიულად განავითაროს და შეახამოს საკუთარ თავში ქალისა და მამაკაცის საწყისები, რომელიც იყენებს ყველაფერს, რაც არსებობს სამყაროში, საკუთარი თვითრეალიზაციისთვის, ყალიბდება უნიკალურ ქალად. ასეთი იყო, მაგალითად, კოკო შანელი. და თუ არსებობს სურვილი, ასეთი გახდება ნებისმიერი!

8. მამაკაცი არ უნდა იყოს მთელი ჩვენი სამყარო, მაგრამ უნდა იყოს ერთ-ერთი მისი ნაწილი და საერთო რიგში იდგეს.

9. ყოველთვის ისწავლე, მიიღე ახალი ინფორმაცია. ეს არის დაზღვევა, შექმნა ბაზა საკუთარ თავში, რომელიც დაგეხმარება გაიტანო თავი ყველაზე მძიმე დროს.

10. მამაკაცთან გაცნობისას უნდა შეგეძლოს ჭკვიანურად ისაუბრო, შემდეგ კი გადაიქცე სულელად. თანაც მნიშვნელოვანია მოულოდნელად და ძალიან დიპლომატიურად გადახვიდე ერთი მდგომარეობიდან მეორეში. მამაკაცი უზომოდ მშიშარაა, მას ყოველთვის რაღაცის ეშინია.

ხან ქალი ზედმეტად მდიდარია, ხან ზედმეტად ღარიბი, ხან ზედმეტად ლამაზია ან პირიქით. ამიტომ საჭიროა გახდე გაუთვალისწინებელი, სიმსუბუქითა და იუმორით დაამყარო ურთიერთობები.

11. წარმატების მისაღწევად ფული მეორე ადგილზეა. საჭიროა ზუსტად იმდენი ფული, რომ მოახდინო საკუთარი იდეების რეალიზება. და ყოველ დღე არ იღვიძებდე ფიქრით: ღმერთო, ვერ ვიტან ამ სამუშაოს, მაგრამ შიმშილით მოვკვდები, თუ არ გავაკეთე ეს საქმე.

12. არ შეგეშინდეს სასოწარკვეთის. დაეშვი ფსკერზე. მე მივდიოდი აგარაკზე, მთელი კვირა გაშოტილი ვიწექი, არავის არ ვნახულობდი. მეცოდებოდა საკუთარი თავი და თითქმის უკვე მომწონდა ის, რომ უბედური ვიყავი. მაგრამ რაღაც მომენტში ორგანიზმს ეს ბეზრდება და ის გეუბნება: ცხოვრება ხომ გრძელდება! მე არ მოვკვდი, მზე ანათებს. ყველაფერი კარგად არის! და შენ დგები და აგრძელებ გზას.

13. ისე, ბედისწერა ხომ ლომივით არის. თუ გეშინია, ის თავს დაგესხმევა, და თუ შიში არ გაქვს, ის იქით მიბრუნდება, სადაც შენ მოისურვებ.

https://trend.ge/

რამდენიმე რჩევა მათ, ვისაც წონაში დაკლება სურს

წონაში დაკლება რთული პროცესია. ის აუცილებლად შესაბამისი პროფილის ექიმების მეთვალყურეობითა და მითითებებით უნდა მიმდინარეობდეს, რადგან სიმსუქნის ან ზედმეტი წონის გამომწვევი მიზეზის დადგენა ექიმის პრეროგატივაა. უხშირესად, მიზეზი გაძლიერებული კვება და უმოძრაობაა. სიმსუქნის დროს ზიანდება გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი, კუჭ-ნაწლავის, ნერვული სისტემები, ვლინდება ქოშინი, პულსის გახშირება, ქვედა კიდურების შეშუპება, ჰიპერტონიისადმი მიდრეკილება, ქვეითდება ადამიანის შრომისუნარიანობა.

ზედმეტ წონასთან ბრძოლის მრავალი მეთოდი არსებობს, კონსერვატიული თუ ქირურგიული. ამ მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა დიეტას, ფიზიკურ ვარჯიშს, მასაჟს და ისეთ ბუნებრივ ფაქტორებს, როგორიცაა მზე, ჰაერი და წყალი, ასევე ადამინის მიერ ცხოვრების ჯანსაღი წესის ანუ ცხოვრების, კვებისა და შრომის რეჟიმის დაცვას.

გაითვალისწინეთ, როცა მარტო ხართ, უფრო იოლად არღვევთ დიეტას, ამიტომ სასურველია ჯგუფის შექმნა იმ ადამიანებთან ერთად, ვინც მსგავსი დილემის წინაშე დგას, რაშიც მკურნალი ექიმიც დაგეხმარებათ. შეიძლება კვირაში ერთხელ შეიკრიბოთ სპორტულ დარბაზში, საცურაო აუზში და საკუთარ წარმატებებზე ან პრობლემებზე ისაუბროთ, გამოცდილება გაუზიაროთ, ერთმანეთის დახმარებაც სცადოთ.

წონაში დაკლებას ხელს უწყობს ბოსტნეული, რომელიც შეგიძლიათ მიირთვათ სასურველი რაოდენობით მოხარშული, მოთუშული ან მწნილის სახით: ბადრიჯანი, მწვანე ბარდა, კომბოსტო, ბროკოლი, კიტრი, პომიდორი, ბოლოკი, ხახვი, ჭარხალი, ნიახური, ლობიო, ოხრახუში, ბრიუსელის კომბოსტო, სტაფილო, ასევე მჭლე ხორცი, უცხიმო ხაჭო და ყველი, რძე, მაწონი, თევზეული, მოლუსკები (შებოლილი თევზისა და ზეთიანი კონსერვების გარდა), ხილი (ჩირის გარდა).

მოერიდეთ ცხიმით მდიდარი საკვების მიღებას, ამოიღეთ ისინი თქვენი რაციონიდან. ესენია: კარაქი, მარგარინი, მაიონეზი, ნაღები, კრემი, არაჟანი, კაკალი, თხილი და სხვა.

მიირთვით უმეტესად მოხარშული და არა შემწვარი საკვები ან შეწვით უცხიმოდ, ჰაერღუმელში ან გრილზე. სალათებისთვის გამოიყენეთ ძმარი, მაწონი, ლიმონის მჟავა, მწვანილი.

არ დალიოთ ალკოჰოლიანი და გაზირებული სასმელები.

კვირაში 1-2 დღე მოიწყვეთ ე. წ. „განტვირთვის“ (ვაშლის, ხაჭოს, ხორცის, არაჟანის) ან „შიმშილის“ (მინერალური ან გამოხდილი წყალი) დღეები.

გახსოვდეთ ბერძენი ფილოსოფოსის სიტყვები: „ადამიანი ჭამს იმისთვის, რომ იცოცხლოს და არა ცხოვრობს იმისთვის, რომ ჭამოს!“

მოამზადა
ქეთევან ბახუტაშვილმა

P.S.
მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე • **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი • **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ᵇ • (0 431) 24-45-46. • psnews27@gmail.com • www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
— ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.
გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**